აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის

(ფშავის) საკრალური გეოგრაფია

ნათელა აბესაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა აბესაძე:

06.07.2015წ

აბსტრაქტი

ნაშრომში, რომელიც ეხება ფშავის საკრალურ გეოგრაფიას ჩემი მიზანი იყო, წარმომედგინა ფშავის უძველესი მდგომარეობა, თემები-სოფლები, ჯვარ-ხატები, ტრადიციები რითაც ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში და დღესაც არის თავისთავადი, შეუვალი და განუმეორებელი. დეტალურად აღვწერ სალოცავებს და გავავლებ პარალელებს თუ როგორი იყო ეს სალოცავები მოყოლებული განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდიდან და რა სახით არის ისინი შემორჩენილი დღემდე და რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდათ და აქვთ მთისათვის. ყურადღებას გავამახვილებ სათემო საზღვრებზე, რომელიც რათქმაუნდა სალოცავებთან იყო დაკავშირებული. ხატი- რომლის საბრძანისიც გარკვეულლ ტერიტორიაზე ვრცელდება, ფაქტიურად ზუსტად ემთხვევა სათემო ტერიტორიებს. ეს არის- სათემო საზღვარი. მნიშვნელოვანია მთისა და ბარის ურთეირთობა, მეფე როგორც მთავარი სუზერენი როგორ არეგულირებდა ეკონომიკური ურთიერთობებით მჭიდრო კავშირს მათ შორის.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, საკვლევი თემიდან გამომდინარე, საკითხის საფუძვლიანად შესწავლისთვის გამოვიყენე სხვადასხვა სამეცნიერო ისტორიული წიგნები, სტატიები, ინტერვიუ დღესდღეობით მოქმედ ხევისბერებთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიის ლაბორატორიის მიერ ჩატარებული კვლევა ფშავის ტერიტორიაზე. აღნიშნული კვლევა დამეხმარა შემესწავლა და გამეგო ფშავის თანამედროვე მდგომარეობა. ჩემი ხელმძღვანელის პროფესორ ბატონ პაატა ბუხრაშვილის თანხლებით, ჩავედით და დავათვალიერეთ უკანაფშავის ტერიტორია ადგილზე გავეცანი ჯვარ-ხატებს, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ნაშრომის ბოლოს ყურადღება ეთმობა გზებს, რომლის საშუალებითაც უნდა შევძლოთ წარსულის, ტრადიციული ცოდნის გაზიარება საზოგადოებისათვის, ვიდრე ეს ჯერ კიდევ არსებობს ადამიანთა მეხსიერებაში.

საბოლოო ჯამში ნაშრომმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რომ მთა - კავკასიის ერთაინი სივრცის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც თავის ადათ-წესები და ტრადიციები აქვს და უნდა შევძლოთ ეს გადავცეთ თაობებს, რათა არ მიეცეს დავიწყებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფშავი____ , ჯვარ-ხატები____, ხევისბერი___.

Abstract

In the paper, which refers to the sacred geography of Pshavi, my goal was to present the ancient state of Pshavi, villages and communities, icons and frescoes and traditions by which this region has been original unique and unbreakable for centuries. I am going to describe the shrines in detail and draw parallels what these shrines looked like since the period of the medieval centuries and in what form they are still preserved and what functionality they have had for the mountain. I will focus on the borders of the community, which of course were associated with the shrines. The icon -the domination of which covers certain distance of the territory, literally exactly matches the community areas. This is the community border. It is important to hold talks on relations between the mountains and the inland, and the king as the main sovereign, how it regulated close links between the mountain and the inland using economic relations.

As for the research methods, according to the research topic, in order to study the issue thoroughly, I used a variety of scientific and historical books, articles, the interviews with acting Khevisberebi (the Head of the community in the mountain), and what is most important the research by Ilia State University Visual Anthropology Laboratory carried out in the area. The research helped me to learn and understand the state of modern Pshavi. Together with Professor Paata Bukhrashvili, the head of my research, I travelled and visited Ukanapshavi territory; I was introduced with the icons/frescoes, which had a lasting impression on me.

The last part of
the paper focuses on the ways which we should apply to share the past traditional knowledge with the society, until it is still in the memory of people.

Ultimately, the study stressed the importance that the mountain is an integral part of the united space of the Caucasus with its customs and traditions, and we should try and pass it from generation to generation in order not to be forgotten.

Key search words: the Community border _____icons/frescoes _____ ____, ___ Khevisberi.

”მადლობა”

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ბატონ პაატა ბუხრაშვილს, რომელმაც მომცა საშუალება ჩემი წვლილი შემეტანა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური კვლევის ლაბორატორიის საქმიანობაში. ჩემი თემაც სწორედ ლაბორატორიულ მარტივ კლევით პროცესებთანაა დაკავშირებული.